20/03/2026

MES 3 26 0000339041

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.03.2026 წ
სხდომის დაწყების დრო: 14:09
სხდომის დასრულების დრო: 16:49
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

- **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
- **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
- **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
- **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
- **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
- **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
- **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
- **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
- **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
- **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- დავით კუხალაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

- **შპს კავკასიის უნივერსიტეტი**

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ლევან მოსახლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ირმა კუხიანიძე - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;

სოფო შენგელია - სამართლის სკოლის დეკანი.

- **შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი;
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
თამარ შიოშვილი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი.

- **შპს საქართველოს უნივერსიტეტი**

არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია ამაშუკელი - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
ნოდარ ხერხეულიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

- **ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**

დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
თინა ჩხეიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ქრისტინე ჩიხლაძე - I, III, IV და V საკითხი;
- გიორგი ამირანაშვილი - I საკითხი;
- ლიანა ზაგაშვილი - I საკითხი;
- ლელა ვანიშვილი - III, IV და V საკითხი;
- ნინო ფარსადანიშვილი - VI საკითხი;
- თამარ გვიანიშვილი - VII და VIII საკითხი.

ომჩივნის წარმომადგენელი - ლევან ალაფიშვილი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი "ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და აღნიშნული საკითხის მეორე საკითხად განხილვას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2026 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

8. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი "ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

- **პირველი საკითხი:**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი;
სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით);
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტები 2025 წლის დეკემბერში იმყოფებოდნენ დაწესებულებაში და სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეისწავლეს პირველი სტანდარტი (სრულად), მეორე სტანდარტის 2.4 კომპონენტი, მესამე სტანდარტი (სრულად), მეოთხე სტანდარტის 4.2 კომპონენტი და მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი. ვიზიტის საფუძველზე დაწესებულებას განესაზღვრა ცხრა რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიღების შემდგომ 3 რეკომენდაცია (რეკომენდაცია ეხებოდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფას და, ასევე, რჩევაში გადავიდა ის რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა აპელაციას, რადგან ის გულისხმობდა ჩანაწერის დაზუსტებას) გადავიდა რჩევაში და საბოლოო ჯამში გაიცა 6 რეკომენდაცია და 5 რჩევა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სამართლის სკოლის საბაკალავრო ნაშრომის დებულებას სჭირდება ერთგვარი გადახედვა. ისეთი სარეკომენდაციო დებულებები, როგორიც არის, მაგალითად - მესამე დანართი, უნდა იყოს ზუსტად და მკაფიოდ გაწერილი იმ პირების მიერ, რომლებიც ავსებენ მას და, ასევე, ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული მარეგულირებელი დოკუმენტების საიტზე განთავსებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სამართლის სამაგისტრო საფეხურის დებულება გადამუშავების პროცესშია. პირველ რეკომენდაციაში ნახსენებია, რომ დაწესებულებამ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობიდან ამოიღოს რეცენზენტი, როგორც კომისიის წევრი. დაწესებულება თვლის, რომ რეცენზენტი უნდა იყოს კომისიის წევრი, რადგან რეცენზენტმა უნდა მოისმინოს ის სამეცნიერო განხილვა, რაც პროცესში იქნება. რეცენზენტი დაცვის პროცესში შეფასების ნაწილში არ მონაწილეობს, ის მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში პრობლემურად არის შეფასებული რეცენზენტის არსებობა და, შესაბამისად, დაწესებულება ამას არ იზიარებს, რადგან რეცენზენტის შეფასება ხორციელდება მანამდე, თუმცა გაზიარება ხდება შემდგომ. შესაბამისად, ის კომისიის წევრი არის იმიტომ, რომ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს, ის ესწრება დაცვის პროცესს და ისმენს არგუმენტაციას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ საბოლოო შეფასება უნდა ეყრდნობოდეს საერთო შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ რეცენზიას რეცენზენტი მანამდე წერს, სანამ დაცვა მოხდება და ანონიმურად გადაეცემა მას სტუდენტის ნაშრომი. ამის შემდეგ იწერება დასკვნა, რეცენზენტი წერს რეცენზიას და ეს ეგზავნება სტუდენტსაც. რეცენზენტი დასკვნასთან ერთად წერს ქულასაც, თუმცა ეს ცნობილი ხდება მაშინ, როცა სტუდენტი დაცვაზე წარდგება.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციაში ნახსენებია, რომ საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაცვის კომისია არის კოლეგიალური ორგანო. მასში შეირჩევიან დარგის ვიწრო მიმართულებიდან გამომდინარე სპეციალისტები და მათ აქვთ უფლება დამოუკიდებლად შეაფასონ სტუდენტი. შესაბამისად, ადმინისტრაცია მათ საქმიანობაში არ ერევა. თუმცა თუ არის ისეთი შემთხვევა, რომ სტუდენტს რამდენიმე ქულის გამო გაუჩნდა პრეტენზია ამისთვის არის გასაჩივრების პროცედურა, რომელსაც იცავს როგორც ადმინისტრაცია, ისე დაცვის კომისიის წევრები. სტუდენტი წერს საჩივარს, ადმინისტრაცია განიხილავს მის დასაშვებობას და თუ დასაშვებია, უბრუნდება იგივე დაცვის კომისიას. იგივე კომისიას იმიტომ უბრუნდება, რომ მათ აქვთ სრული ინფორმაცია დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით. სხვა კომისია ვერ განიხილავს, რადგან დაცვის პროცედურების თავიდან გავლა იქნება საჭირო, რაც პროცესის გახანგრძლივებას იწვევს. გარდა ამისა, საჩივრის განხილვის შემდეგ კომისია მომჩივანს უბრუნებს არგუმენტირებულ პასუხს. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს, რომ სტუდენტის მოთხოვნები გაითვალისწინოს. აღნიშნულ შემთხვევაში ანონიმურად გაეგზავნა ნაშრომი სხვა სპეციალისტებსაც და მისი შეფასება დაემთხვა არსებულს. ადმინისტრაცია შეფასების პროცესში არ ერევა, თუმცა ზედმიწევნით უზრუნველყოფს გასაჩივრების პროცესის ზედმიწევნით და სამართლიანად განხორციელებას.

ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი ასაჩივრებს თავის ნაშრომს, პირველ რიგში, ის გადის დასაშვებობის ეტაპს. ამ დროს მოწმდება შემოტანილია თუ არა საჩივარი დადგენილ ვადაში, რაც არის გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული. ამის შემდეგ კი ის გადაეცემა იმ კომისიას, რომელმაც შეაფასა თავდაპირველად. ეს კომისია ისმენს სტუდენტის პრეზენტაციას და კითხვებზე პასუხს. სხვა კომისია ამას ვერ განიხილავს, რადგან ვერ ექნებათ სრულყოფილი სურათი, ვინაიდან ისინი არ ესწრებოდნენ დაცვის პროცესს. მან ასევე დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ საქმეს აწარმოებს სასამართლოშიც, რადგან სტუდენტმა სარჩელი

შეიტანა უნივერსიტეტის წინააღმდეგ და შესაბამისად, თითოეული კომისიის წევრის შეფასება წარდგენილია სასამართლოში.
ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი ორგანო ვერ შეაფასებს ნაშრომს, რადგან ხელახალი დაცვა ვერ ჩატარდება. მისი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ პროცედურული წესების დაცვით. ის ვერ შეაფასებს დაცვის ხარისხს, არგუმენტაციის სისწორეს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტში არსებული მექანიზმი უზრუნველყოფს ობიექტურ და ეფექტურ განხილვას. დამოუკიდებელი კომისიის შექმნა კი არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.
დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ ახალი კომისია შეიქმნება, დაცვა უნდა დაინიშნოს ახლიდან, რასაც დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. ეს გულისხმობს იმას, რომ სტუდენტი იქნება უკეთ მომზადებული. სამეცნიერო კითხვები, რომლებიც დაისვა პირველი დაცვის დროს ექნება გააზრებული და მომზადებული, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა მის ჯგუფელებთან მიმართებით. შემდეგ რეკომენდაციაში ნახსენებია, რომ რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში გასწორდეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით. ამასთან მიმართებით აღინიშნა, რომ დებულება იყო გადამუშავების პროცესში და ის უზუსტობები, რაც იყო უკვე გასწორებული და ატვირთულია. ასევე, იმ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომლის მიხედვით რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად განიმარტოს ვინ იგულისხმება მეცნიერ-ხელმძღვანელში, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანებას იწვევს, მან აღნიშნა, რომ მეცნიერ-ხელმძღვანელი მხოლოდ ერთ ადგილას არის ჩარჩენილი. ამის წინაპირობა კი არის ის, რომ პირველად სამაგისტრო დებულებაში სამეცნიერო ხელმძღვანელის ტერმინის ნაცვლად იყო მეცნიერ-ხელმძღვანელი. ეს ტერმინი ავტორიზაციის დროს შეცვალა დაწესებულებამ, თუმცა ეს ერთი შემთხვევა იყო ჩარჩენილი, რომელიც გასწორდება. რეკომენდებულია რეცენზიის მომზადებისას ზედმიწევნით დაცული იყოს მაგისტრატურის დებულების დანართ N3-ით განსაზღვრული ფორმატი და სტრუქტურა - ამ რეკომენდაციასთან მიმართებით დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ამ ელემენტებს ყოველთვის ექცევა ყურადღება და ასეც გაგრძელდება. რეკომენდებულია დაწესებულებამ საჯაროდ განათავსოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი კავკასიის უნივერსიტეტის გვერდზე იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი - ამ რეკომენდაციასთან მიმართებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ეს დოკუმენტები საჯარო პლათფორმაზე უკვე განათავსა. დოკუმენტების აღება იმიტომ მოხდა, რომ პროგრამა ემზადება აკრედიტაციისთვის და გადამუშავების პროცესშია.
დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიო შენგელიამ აღნიშნა, რომ დებულება სტუდენტებს სრულად ეგზავნებათ, პლათფორმაზე ატვირთულიც არის და თითოეულ კომპონენტზე, საჭიროების მიხედვით, ცალ-ცალკე ეგზავნებათ ამ დებულებიდან ამონარიდები. ამასთან, დებულებაზე მუშაობა კვლავაც მიმდინარეობს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ ზარანდიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ რეცენზენტი მონაწილეობს სამაგისტრო დაცვისას შეფასებაში, მას აინტერესებდა წერდა თუ არა რეცენზენტი უშუალოდ დაცვის შეფასებაზე ქულას. ასევე, გაწერილია, რომ დეკანის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა და მას აინტერესებდა, განისაზღვრებოდა თუ არა დეკანის ბრძანებით რეცენზენტის სათათბირო უფლებით მონაწილეობის საკითხი. მას, ასევე, აინტერესებდა აპელაცია განიხილავს

პროცედურას თუ შინაარსში შედის. ამასთან, საბჭოზე აღინიშნა, რომ ნაშრომის ანონიმურად შეფასება მოხდა. შესაბამისად, საბჭოს წევრს აინტერესებდა, ამასთან დაკავშირებით იყო თუ არა სადმე დებულებაში ჩანაწერი.
ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ რეცენზენტი მონაწილეობს სხდომის დაცვის კომისიაში და ის ქულას არ წერს, მხოლოდ სათათბირო უფლებები აქვს. ბრძანებაში არის აღნიშნული ვინ იყო წევრი და ვინ მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება ანონიმურად გადაცემას, ამის შესახებ დებულებაში არის ჩანაწერი და ყოველთვის ასე ხდება. რეცენზენტი დაცვის დროს ეცნობა სტუდენტს. გასაჩივრების დროს დასაშვებობის ეტაპზე ხდება მხოლოდ ტექნიკური ნაწილის გადახედვა. აღნიშნულის შემდეგ კომისია შინაარსობრივად კვლავ უბრუნდება იმ საკითხების განხილვას, რასაც ასაჩივრებს მომჩივანი. ამის შესაბამისად, კომისიის წევრები ასაბუთებენ და ამყარებენ თავიანთ მოსაზრებას.
სოფიო შენგელიამ აღნიშნა, რომ კომისია ყოველთვის განსხვავებულია, რადგან ის იცვლება თემის სპეციფიკის მიხედვით. რეცენზენტთან ანონიმურად მიდის ნაშრომი და წერილობით შეფასებას გზავნის უკან, რაც შემდგომ ეგზავნება სტუდენტს. შესაბამისად, ანონიმურობა დაცულია მანამ, სანამ დაცვაზე არ მოვა სტუდენტი, ან სანამ სტუდენტი არ მოითხოვს მასთან კავშირზე გასვლას. ამასთან, აპელაციის ფარგლებში თითოეულმა კომისიის წევრმა ყველა ქულაზე არგუმენტირებული დასკვნა დაწერეს თუ რატომ შეფასდა ამგვარად ნაშრომი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაესვათ კითხვები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ თითქოს, მეორე რეკომენდაცია მოიცავდა მესამეს და ამასთან მიმართებით აინტერესებდა ექსპერტების პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაცია ეხებოდა უშუალოდ რეცენზენტს და მის ჩართულობას. ხოლო მესამე რეკომენდაციაში მითითებული იყო რეცენზენტი და ხელმძღვანელი. მეცნიერ-ხელმძღვანელი მონაწილეობს დაცვის საკითხში და წერს ქულებს. რეცენზენტი თუ იქნება დაცვის კომისიაში მას არ უნდა ჰქონდეს ქულის დაწერის შესაძლებლობა. საბოლოოდ, ის წერს 40 ქულას და გამოდის, რომ შეფასების 2 ეტაპზე იღებს მონაწილეობას, რაც მიუღებელია. რეცენზენტი აფასებს ნაშრომს, პირველი ეცნობა მას, წერს დასკვნას და შემდეგ წარდგენისას ხელმეორედ განიხილავს. დაცვის კომისიაში არ უნდა მონაწილეობდეს რეცენზენტი და ხელმძღვანელი. ის დამოუკიდებლად უნდა აფასებდეს სტუდენტს.
ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ მინისტრის 2007 წლის ბრძანებაში არის ჩანაწერი, რომ ერთიანი პრინციპით უნდა შეფასდეს ნაშრომი დაცვამდე და დაცვის შემდეგ. შესაბამისად, დაწესებულებამ განსაზღვრა პირი, რომელიც დაცვამდე ქულობრივად შეაფასებდა სტუდენტს და კომისიის შეფასებას დაემატებოდა. რეცენზენტი ქულას წერს მაშინ, როცა დასკვნას წერს, თუმცა ეს ქულა ცნობილი ხდება მას შემდეგ, როცა სტუდენტი საჯაროდ დაიცავს ნაშრომს. კომისიის წევრი არის რეცენზენტიც და თემის ხელმძღვანელიც, თუმცა ისინი არ ახდენენ სტუდენტის ქულობრივ შეფასებას. თემის ხელმძღვანელი შეფასებას საერთოდ არ წერს, ის წერს მხოლოდ განმავითარებელ დასკვნას, რათა ის დაიშვას თემის საჯარო დაცვაზე.
სოფიო შენგელიამ აღნიშნა, რომ დებულებაში ყველა შეფასების კრიტერიუმთან არსებობს შეფასების ფორმა. თემის ხელმძღვანელი ქულას ვერ დაწერს. მას შეუძლია მხოლოდ დასკვნის დაწერა, რომლითაც სტუდენტი დაიშვება მოსმენაზე. დანარჩენ შემთხვევაში ის არცერთ შეფასებაში არ იღებს მონაწილეობას. ასევეა რეცენზენტიც, რომელიც სტუდენტს აფასებს წინასწარ, საბოლოოდ 60 ქულიანი შეფასების დროს ის მონაწილეობას ვერ მიიღებს შეფასებაში.
დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში დაირღვეოდა მინისტრის ბრძანების მესამე მუხლი, თუ შეფასება მოხდებოდა მხოლოდ კომისიის მიერ.
ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ როცა რეცენზენტი ქულას წერს ეს ქულა დაცვის პროცესშიც არ არის ცნობილი მანამ, სანამ დაცვის კომისია არ შეაფასებს.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ რეცენზენტმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს ნაშრომის შეფასების დროს სამეცნიერო

სიახლე, არის თუ არა პლაგიატი, რამდენად სწორად აქვს შედეგები, კვლევის მეთოდები და რამდენად სწორია დასკვნა და აღნიშნული სამუშაოს გაწევის შემდეგ ის წერს რეკომენდაციებს. აღნიშნული რეცენზია ადმინისტრაციული ორგანოს გავლით ეგზავნება მაგისტრანტს, თუმცა მას პასუხის გაცემის საშუალება უნდა ქონდეს, რაც როგორც წესი, საჯარო დაცვაზე ხდება. მას აინტერესებდა, თუ საჯარო მოსმენაზე სტუდენტის არგუმენტები რეცენზენტისთვის მისაღებია, მაშინ რა ხდება, რადგან ის ვერც დაწერილ ქულას ვერ შეცვლის და ვერც რეკომენდაციებს. რაც შეეხება სათათბირო უფლებით რეცენზენტის კომისიაში მონაწილეობას, საჯარო დაცვის დროს კითხვის დასმის უფლება დამსწრე საზოგადოებასაც აქვს. თუ რეცენზენტი იქნება კომისიის წევრი, მაშინ რომელი ადგილიდან დასვამს კითხვას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუ რეცენზენტი არ შეგვყავს კომისიაში, რათა მან გავლენა არ მოახდინოს კომისიაზე, მაშინ სათათბირო ხმით არის თუ არა ამას რა მნიშვნელობა აქვს. აპელაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მისი აზრით, მხოლოდ მაშინ უნდა ხდებოდეს აპელაცია, როცა იურიდიული დარღვევებია.

ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ თუ რეცენზენტი საჯარო მოსმენაზე შეიცვლის აზრს მისი დაწერილი ქულა ვერ შეიცვლება. ერთიანი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე შეფასება უნდა მოხდეს დაცვამდეც და დაცვის შემდეგაც, შესაბამისად ეს პროცედურა აუცილებელია.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტს გაწერილი აქვს კრიტერიუმები. ის ძირითადად თემის აქტუალურობას და კვლევის შედეგებს აფასებს. უშუალოდ დაცვის დროს შეუძლებელია ისეთი კითხვა გაჩნდეს, რომ რეცენზენტს ქულის შეცვლა მოუნდეს, რადგან ნაშრომის შესაფასებლად მას ერთი თვე აქვს დრო.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტის დასკვნა არის სამეცნიერო კამათის ნაწილი და მასზე პასუხის უფლება უნდა ქონდეს მაგისტრანტს. აქ პარალელი შეიძლება გაევლოს სტატიის გამოქვეყნებასთან, როდესაც სტატიას აქვეყნებ გაქვს უფლება უპასუხო რეცენზენტის მიერ დასმულ შეკითხვებს. რეკომენდაციის ნაწილში რეცენზენტს შეიძლება კითხვის ნაწილი ქონდეს, რომ რაღაც ვერ გაიგო და თუ ამას აუხსნი ის მიიღებს აღნიშნულ პასუხს. და რა მოხდება თუ ის 100 ში შემავალი 40 ქულა რეცენზენტმა დაწეროს ბოლოს, მანამდე დაწეროს რეკომენდაციები და ეს პრობლემა მარტივად მოგვარდება. ან ასევე აღნიშნა, რომ წინასწარ 40 ქულის დაწერას აზრი ეკარგება, ვინაიდან რეცენზენტმა დაცვის დროს უნდა შეაფასოს როგორც სხვა კომისიის წევრებმა რამდენად კარგად ესმის საკითხი მაგისტრანტს, რამდენად კარგად პასუხობს კითხვებს და ამ გარემოებას ის მხოლოდ ნაშრომის წაკითხვით ხომ ვერ შეაფასებს.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ კრიტერიუმები რის მიხედვითაც აფასებს რეცენზენტი მაგისტრანტს ისეა გაწერილი, რომ ნაშრომის წაკითხვის შემდგომ მას უკვე აქვს შესაძლებლობა დაწეროს ქულები. ხოლო თუ იმ სცენარს განვიხილავთ, რაც ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, მაშინ კრიტერიუმების გადახედვა უნდა მოხდეს და მასთან დაკავშირებით საკითხს შემდგომში განიხილავენ.

ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, დებულებაში მითითებულია, რომ კომისიის წევრები აფასებენ რეცენზენტის მიერ გამოთქმულ კითხვებსა და შენიშვნებს როგორ პასუხობს ის, ამაში მონაწილეობას თავად რეცენზენტი არ იღებს.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა თუ რეცენზენტმა უარყოფითი დასკვნა დაწერა, ამ შემთხვევაში რა ღონისძიებებია უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებული. ამასთან აინტერესებდა თუ ხდებოდა დაცვაზე რეცენზენტის მიერ დასკვნის გაცნობა და თუ კი, ქულის გაცნობის საკითხი როდის დგებოდა.

ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნა იგზავნება, თუმცა შეფასება არ ჩანს. ქულის დაჯამების დროს ხდება რეცენზენტის ქულის გაცნობა.

ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ვიდრე რეცენზენტამდე მივა ნაშრომი დასკვნას წერს ხელმძღვანელი, რომელიც დადებით დასკვნას გასცემს ნაშრომის საჯარო გამოსვლაზე ან წერს უარყოფით დასკვნას. როდესაც ხელმძღვანელი უარყოფით დასკვნას წერს და არ აძლევს სტუდენტს საშუალებას დაცვაზე გავიდეს სტუდენტს დაწესებულება აძლევს გასაჩივრების

უფლებას. ხოლო თუ ხელმძღვანელი დაწერს დადებით დასკვნას, თუმცა რეცენზენტი უარყოფითს მაინც გადის ნაშრომი დაცვაზე. შემდეგ უკვე აუცილებელია საჯარო დასკვნაში ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მონაწილეობა, რათა მოხდეს სამეცნიერო დისკუსიის წარმართვა.

თეა მჭედლურს, ასევე, აინტერესებდა რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემდეგ მხოლოდ კომისია წერდა ქულას თუ არა.

ირმა კუხიანიძემ აღნიშნა, რომ რეცენზენტი აფასებს იმ ქულით, რომელსაც მიიჩნევს მიზანშეწონილად.

სოფიო შენგელიამ აღნიშნა, რომ სტუდენტს სჭირდება 60 ქულა იმისთვის, რომ დაასრულოს საგანი.

ელიზბარ ელიზბარაშვილს აინტერესებდა ვინ ამოწმებდა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან თანხვედრის საკითხს.

სოფიო შენგელიამ განმარტა, რომ პირველ რიგში ხდება სათაურების ატვირთვა, რომელსაც სპეციალური კომისია ამოწმებს. აქ სტუდენტი წარმოადგენს სპეციალურ განაცხადს და ამის შემდეგ კომისია ამტკიცებს, ან რეკომენდაციას მისცემს გასასწორებლად და შემდეგ იწყება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

საბჭოს თავჯდომარემ მომჩივანე მხარეს სთხოვა დაეფიქსირებინა პოზიცია:

ლევან ალაფიშვილმა (მომჩივანის წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ დებულების მიხედვით რეცენზენტი არის კომისიის წევრი და იქვე უნდა მოახდინოს შეფასება და არა 2 კვირით ადრე. მინისტრის მიერ 2019 წლის 31 იანვრის 74/ი ბრძანების მიხედვით დამტკიცებული არის ხარისხის სახელმძღვანელო და სავალდებულოა სხვა შემადგენლობის სააპელაციო კომისიის არსებობა.

ერთ-ერთი შეფასების გრაფაში, რომელიც ნაშრომის სტრუქტურას შეეხება, რეცენზენტს უწერია, რომ ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკურია და შეესაბამება თემას და ამაში დაწერილი აქვს 8 ქულა.

ამასთან აღინიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აპელაციის არანაირი დოკუმენტი არ არსებობს. სტანდარტის 2.4 კომპონენტში და სახელმძღვანელოსა და ადმინისტრაციულ აქტებში სავალდებულო წესით არის განსაზღვრული დამოუკიდებელი სააპელაციო საბჭოს არსებობა. რაც შეეხება რეცენზენტს, მას უფლება აქვს კომისიის წევრი იყოს და კომისიურ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია. მაგრამ უნივერსიტეტს შეუძლია აირჩიოს სხვა რამეც. რეცენზენტი არ წერს ქულებს და შინაარსობრივად შეაქვს გადაწყვეტილებაში წვლილი. დაწესებულებამ უნდა აირჩიოს ან ერთი ან მეორე, თუმცა რეცენზენტს ამ შემთხვევაში ორივე როლი აქვს. რაც შეეხება დამოუკიდებელი რეცენზენტის მიერ შეფასებას, როდესაც პროცესი დამთავრებული იყო პირველ აპრილს, 3 აგვისტოს მოხდა მეორე რეცენზენტის მიერ შეფასება ნაშრომისა. ამასთან დაწესებულებამ აღინიშნა, რომ სტუდენტს გაეგზავნა მეორე რეცენზენტის მიერ დაწერილი დასკვნა, თუმცა ლევან ალაფიშვილის თქმით ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

ლევან ალაფიშვილის სიტყვით გამოსვლა დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს შეურაცყოფად და საბჭოს თავჯდომარეს მიმართეს თხოვნით, რომ ლევან ალაფიშვილისთვის მოეწოდებინა სიმშვიდის შენარჩუნებისკენ და ეთიკური ნორმების დაცვისკენ. აწესებულების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განმარტეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეფასების პროცესში მიაწოდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც დაწესებულებაში განსაზღვრავდნენ სტუდენტთა შეფასების წესებსა და პრინციპებს.

დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არაერთი მაგისტრი ჰყავს, რომლებიც საკმაოდ წარმატებულები არიან შრომით ბაზარზე. ამასთან, ეს საკითხი არ დადგებოდა საბჭოზე 2 ქულა რომ არ დაჰკლებოდა წითელ დიპლომზე მომჩივანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველანაირი დოკუმენტი არსებობს უნივერსიტეტში, მათ შორის მომჩივანის მიერ დასახელებულ საკითხებზე რაზეც ოპონენტმა ისაუბრა და ამის წარდგენაც შეუძლია დაწესებულებას თუკი, საბჭო ამას მოითხოვდა.
მომჩივანმა აღნიშნა, რომ სასამართლოს შემდეგ მიეწოდა ბოლოს აღნიშნული დასკვნა და მან არ იცოდა მსგავსი მექანიზმი თუ არსებობდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 16:22
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ხელახალი აკრედიტაციის ფარგლებში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დროს დაწესებულებამ ნათლად ჩამოაყალიბოს დაცვის კომისიის შემდეგენლობა, ფუნქციები და შეფასების წილი ერთიანი შეფასების ფარგლებში საჯარო დაცვის პრინციპების მაქსიმალური გათვალისინებით.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.
- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში გასწორდეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად განიმარტოს ვინ იგულისხმება მეცნიერ-ხელმძღვანელში, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანებას იწვევს.
- რეკომენდებულია რეცენზიის მომზადებისას ზედმიწევნით დაცული იყოს მაგისტრატურის დებულების დანართ N3-ით განსაზღვრული ფორმატი და სტრუქტურა.

- რეკომენდებულია დაწესებულებამ საჯაროდ განათავსოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი კავკასიის უნივერსიტეტის გვერდზე იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

- **მეორე საკითხი:**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს შემოუერთდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანაშრომელი, ქეთევან ინანაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა წერილობითი ინფორმაცია (№258343, 4/03/2026) და ითხოვა საბჭოსთან შუამდგომლობას 2026 წლის 20 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.
საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა წარადგინა მისი დაწესებულების შუამდგომლობა. აღნიშნა, რომ 2026 წლის 20 თებერვალს გამართულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე „ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. აღნიშნულ სხდომაზე, ტექნიკური მიზეზით, ვერ იქნა დაყენებული შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს მიმართა თხოვნით, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 20 თებერვლის თარიღით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ასახვა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №287021 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 20 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №287021 გადაწყვეტილებაში და მის დანართში შევიდეს ცვლილება და შპს საქართველოს

უნივერსიტეტის “ქართული ტრადიციული მუსიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს - 2026 წლის 20 თებერვალი.

- **მესამე საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

- **მეოთხე საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

- **მეხუთე საკითხი:**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ლელა ვანიშვილმა აღნიშნა, რომ 2025 წელს დაევალა ექსპერტთა ჯგუფს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 3 საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენა. ესენია: "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო

ურთიერთობების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტი დაწესებულებაში არ განხორციელებულა. მათ ელექტრონულად მიეწოდათ დოკუმენტები, რის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაციები. სამივე პროგრამაზე გაიცა ერთი ძირითადი რეკომენდაცია, რომ განახლებულიყო აკადემიური პერსონალის რეზიუმეები. საბჭოს გადაწყვეტილებით უმაღლეს დაწესებულებას მიეცა 60 დღე რეკომენდაციის შესასრულებლად. ასევე, გაცემული იყო რამდენიმე რჩევაც. უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია. განახლდა სამივე პროგრამაში ჩართული პირების რეზიუმეები და ექსპერტებს უკვე მიეწოდათ განახლებული დოკუმენტაცია. ასევე, უნივერსიტეტმა გაიზიარა რჩევებიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ანი გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად შეასრულა რეკომენდაციები და სრულიად განახლებულია პერსონალის რეზიუმეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:32
დასრულების დრო: 16:37

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ამერიკისმცოდნეობის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომა დატოვა მზია წიკლაურმა

- **მეექვსე საკითხი:**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე გაცემული იყო 4 რეკომენდაცია და ოთხივე შესრულებული აქვს დაწესებულებას. კერძოდ, პირველი სტანდარტის ფარგლებში დაზუსტდა და გადაიხედა პროგრამის ინგლისურენოვანი სახელწოდება, რის შედეგადაც დაზუსტდა და ჩამოყალიბდა ის. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომი გადატანილ იქნა არჩევით კომპონენტში. მეორე ნაწილის 2.1 კომპონენტში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაწესებულებამ დაამტკიცა, რომ სრულად შეასრულა რეკომენდაცია და დააზუსტა პროგრამაზე მიღების წინაპირობები. მეოთხე სტანდარტის 4.4 რეკომენდაციის შესრულებისათვის უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები და ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შესაბამის ბაზებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს შეკითხვები არ ჰქონია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:41
დასრულების დრო: 16:43

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომას შემოუერთდა მზია წიკლაური

- **მეშვიდე საკითხი:**

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

- **მერვე საკითხი:**

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი "ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ გარე შეფასება ეხებოდა ეროვნული კლასიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი სფეროების დადგენას. ექსპერტებმა ორივე პროგრამაზე შეისწავლეს წარმოდგენილი მასალები, მათ შორის დამატებით გამოთხოვილი და დაწესებულების მიერ მიწოდებული მასალები და აღინიშნა, რომ რეკომენდაციები არ არის. დარჩენილია რამდენიმე რჩევა, რომელიც უფრო ტექნიკური ხასიათის არის, ისინი მარტივად შესასრულებელია და გავლენას არ ახდენს შეფასების

ხარისხზე. შესაბამისად, ყველა შეფასებული სტანდარტი და ქვესტანდარტი შესაბამისობაშია ჩარჩოს მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნიკა გიგაურმა აღნიშნა, რომ დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური საკითხები, რომლებსაც დაწესებულება აუცილებლად გამოასწორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:47
დასრულების დრო: 16:48

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი "ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი "ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:49 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე